სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი №6

ქ. თბილისი **2015 წლის 30 ნოემბერი**

სხდომას ესწრებოდნენ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები: 1. შაბურიშვილი შოთა 2. მექვაბიშვილი ელგუჯა 3. აბესაძე ნინო 4. გოგინავა უშანგი 5. ხომერიკი რამაზი 6. თუთბერიძე ბეჟანი 7. მაჭავარიანი ლია 8. ხაჩიძე მანანა 9. ბექაური ბექა 10. ბახტურიძე პაატა 11. თუმანიშვილი გიორგი 12. თოდუა ნონა 13. კვირიკაშვილი ბახვა 14. კუპრაძე ირაკლი 15. მარგველაშვილი ვლადიმერი 16. წერეთელი მარი 17. შამილიშვილი მანანა 18. ლორთქიფანიძე ლევანი 19. საბაური შალვა 20. ჟვანია ირინე 21. ჩახუნაშვილი ნინო 22. ლორია კახაბერი 23. გორდეზიანი ლევანი 24. გელოვანი ნანი 25. თაბუაშვილი აპოლონი 26. ბრაჭული ირაკლი 27. ოთხმეზური გიორგი 28. პაიჭაძე თამარი 29. მინდიაშვილი თეონა 30. გაიპარაშვილი ზურაბი (დანართი 1)

სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრები: 1. პაპავა ვლადიმერი (რექტორი) 2. ქურდაძე რამაზი 3. გოგსაძე გიორგი 4. გერსამია მარიამი 5. ცერცვაძე თენგიზი 6. გალდავა გიორგი 7. კოპალეიშვილი მაია 8. სურგულაძე ნუგზარი 9. სამსონია შოთა 10. ომანაძე როლანდი 11. მარშავა ქეთევანი 12. ჭკუასელი ქეთევანი 13. აბაშიძე თამარი (დანართი 2)

დღის წესრიგი:

1. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების ცვლილების დამტკიცება
2. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულების ცვლილებების დამტკიცება
3. „ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - ტურიზმის განვითარების ინსტიტუტის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 25 თებერვლის №33/2013 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2015 წლის 9 ნოემბრის №120/2015 დადგენილების დამტკიცება
4. ,,სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2015 წლის 9 ნოემბრის №121/2015 დადგენილების დამტკიცება

5. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსა და დირექტორის არჩევის წესის დამტკიცება

6. „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეტაბოლური გენეტიკის ინსტიტუტის შექმნის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 11 ივნისის №44/2012 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2015 წლის 26 ოქტომბრის №116/2015 დადგენილების დამტკიცება

7. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის ტერიტორიაზე არსებული ბირთვული რეაქტორის მთავარი კორპუსის ტერიტორიიდან რადიოაქტიური ნარჩენების ცენტრალიზებული საცავის გამოყოფაზე (გამიჯვნაზე) თანხმობის გაცემის საკითხი

8. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ დროებით სარგებლობაში გაცემაზე თანხმობის გაცემის საკითხი

9. სხვადასხვა

დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად.

1. თსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა არჩილ კუკულავამ წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის მონაწილეებს გააცნო უნივერსიტეტის წესდების ცვლილების პროექტი, რომლითაც იცვლება სემესტრული რეგისტრაციის ვადები. სწავლის დაწყებიდან 5 კვირის ნაცვლად, 4 კვირა იქნება დადგენილი სტუდენტისთვის, რომელსაც მიმდინარე სემესტრში სტატუსის შეჩერება სურს. აღნიშნული განპირობებულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გრანტების ჩარიცხვის პერიოდულობით. წინასწარ რეგისტრირებული სტუდენტის სწავლის საფასური, რომელიც სტატუსს იჩერებს, უნივერსიტეტმა სამინისტროს უნდა დაუბრუნოს, რაც პროცედურულ სირთულეებთანაა დაკავშირებული.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა: ბატონებმა - ლევან გორდეზიანმა და პაატა ბახტურიძემ, რექტორმა, ბატონმა ვლადიმერ პაპავამ.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 30

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: 1. მიღებულ იქნას სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების ცვლილება (დანართი 3) 2. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების ცვლილება დასამტკიცებლად გადაეგზავნოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.

2. თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანმა, ბატონმა თეიმურაზ ბერიძემ წარმოადგინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულების ცვლილებების პროექტი. მისი განცხადებით, ფაკულტეტში სრულად ინტეგრირდება ეკონომიკის საერთაშორისო და ტურიზმის სკოლები. ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა მომავალში ინგლისურენოვან საბაკალავრო და სადოქტორო პროგრამებსაც განახორციელებს. რაც შეეხება ტურიზმის სკოლას, მის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ისედაც ფაკულტეტის აკადემიური პერსონალია ჩართული, არსებობს შესაბამისი მიმართულებაც და ლოგიკურია, ეს სკოლა ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეული გახდეს. ცვლილებების პროექტი მიღებულია ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს მიერ და საჭიროებს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებას.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა: ბატონებმა - ლევან გორდეზიანმა, ელგუჯა მექვაბიშვილმა, შოთა შაბურიშვილმა და რექტორმა, ბატონმა ვლადიმერ პაპავამ.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 30

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულების ცვლილებები (დანართი 4)

3. უნივერსიტეტის რექტორმა, ბატონმა ვლადიმერ პაპავამ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს გააცნო „ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - ტურიზმის განვითარების ინსტიტუტის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 25 თებერვლის №33/2013 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2015 წლის 9

ნოემბრის #120/2015 დადგენილება. მისი განმარტებით, ვინაიდან ტურიზმის სკოლა ხდება ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეული და ფაკულტეტზე ტურიზმის მიმართულების სამეცნიერო კვლევას შესაბამისი კათედრა უზრუნველყოფს, ტურიზმის განვითარების ინსტიტუტის დამოუკიდებლად არსებობა მიზანშეწონილი არაა. ამ მოტივით აკადემიურმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნული ინსტიტუტის გაუქმების თაობაზე.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 30

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს „ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - ტურიზმის განვითარების ინსტიტუტის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 25 თებერვლის №33/2013 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2015 წლის 9 ნოემბრის №120/2015 დადგენილება. (დანართი 5)

4. იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ბატონმა მორის შალიკაშვილმა წარმომადგენლობით საბჭოს გააცნო ,,სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2015 წლის 9 ნოემბრის №121/2015 დადგენილება. მისი განცხადებით, იურიდიულ ფაკულტეტზე უნდა გამოცხადდეს ასისტენტ-პროფესორებისა და ასისტენტების ვაკანტურ ადგილებზე კონკურსი. ასისტენტის თანამდებობა საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად დამკვიდრდა, ახლა კი აისახება აკადემიური საბჭოს შესაბამის დადგენილებაში.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 30

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ,,სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2015 წლის 9 ნოემბრის №121/2015 დადგენილება. (დანართი 6)

5. ბატონმა რამაზ აბესაძემ წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის მონაწილეებს გააცნო სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსა და დირექტორის არჩევის წესი, რომელიც ინსტიტუტის დებულების საფუძველზეა შემუშავებული. მისი თქმით, დოკუმენტმა გაიარა სამართლებრივი ექსპერტიზა იურიდიულ დეპარტამენტში და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობასა და უნივერსიტეტის სამართლებრივ აქტებს.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 30

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსა და დირექტორის არჩევის წესი. (დანართი 7)

6. იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა არჩილ კუკულავამ წარმოადგინა „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეტაბოლური გენეტიკის ინსტიტუტის შექმნის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 11 ივნისის №44/2012 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2015 წლის 26 ოქტომბრის №116/2015 დადგენილება. მისი განმარტებით, მეტაბოლური გენეტიკის ინსტიტუტი შეიქმნა სპეციალურად უნივერსიტეტის მაქს პლანკის ინსტიტუტთან თანამშრომლობის მიზნით. პროექტი შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდს უნდა დაეფინანსებინა, თუმცა მხარეებს შორის საბოლოო შეთანხმება ვერ მოხერხდა სხვადასხვა მიზეზთა გამო. შესაბამისად, ინსტიტუტს ფაქტობრივად არ უმუშავია და არც ამ კონკრეტული გრანტის მოპოვების პერსპექტივა არსებობს. ამის გამო აკადემიურმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, გააუქმოს ინსტიტუტი.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა, ბატონებმა - ლევან ლორთქიფანიძემ და ლევან გორდეზიანმა, ასევე, აკადემიური საბჭოს წევრმა, ბატონმა ნუგზარ სურგულაძემ.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 30

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეტაბოლური გენეტიკის ინსტიტუტის შექმნის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 11 ივნისის №44/2012 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2015 წლის 26 ოქტომბრის №116/2015 დადგენილება. (დანართი 8)

7. იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა არჩილ კუკულავამ წარმომადგენლობით საბჭოს გააცნო სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის მცხეთაში, მუხათგვერდის ტერიტორიაზე არსებული ბირთვული რეაქტორის მთავარი კორპუსის ტერიტორიიდან რადიოაქტიური ნარჩენების ცენტრალიზებული საცავის გამოყოფაზე (გამიჯვნაზე) თანხმობის გაცემის საკითხი. მისი განცხადებით, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ უნივერსიტეტს წერილით აცნობა სსიპ - ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს შექმნის შესახებ, რომელსაც ექნება რადიოაქტიური ნარჩენების ცენტრალიზებული საცავის სისტემური მართვისა და მოვლა-პატრონობის ვალდებულება. ამ მიზნით სამინისტრო ითხოვს ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის მცხეთაში, მუხათგვერდის ტერიტორიაზე არსებული ბირთვული რეაქტორის მთავარი კორპუსის ტერიტორიიდან რადიოაქტიური ნარჩენების ცენტრალიზებული საცავის გამოყოფაზე (გამიჯვნაზე) თანხმობას, რათა აღნიშნულ საცავზე პასუხისმგებლობა ხსენებულმა სააგენტომ აიღოს.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს რექტორმა, ბატონმა ვლადიმერ პაპავამ და ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, ბატონმა დავით ჩომახიძემ.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 30
წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: გაიცეს თანხმობა გააცნო სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის მცხეთაში, მუხათგვერდის ტერიტორიაზე (სარეგისტრაციო კოდი: 72.12.04.215) არსებული ბირთვული რეაქტორის მთავარი კორპუსის ტერიტორიიდან რადიოაქტიური ნარჩენების ცენტრალიზებული საცავის გამოყოფაზე (გამიჯვნაზე).

8. იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა არჩილ კუკულავამ წარმოადგინა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ დროებით სარგებლობაში გაცემაზე თანხმობის გაცემის საკითხი. მისი განმარტებით, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის დეპარტამენტის მიერ განიხილება უნივერსიტეტის პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილისა და მასზე მდგომი შენობა-ნაგებობა №5-ის დროებით, 3 წლით დაინტერესებულ პირზე სარგებლობის უფლების გადაცემის საკითხი. ვინაიდან აღნიშნული ქონება უნივერსიტეტის ბალანსზეა (თუმცა თსუ არაა მისი მესაკუთრე), სააგენტო სთხოვს უნივერსიტეტს პოზიციის დაფიქსირებას.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ბატონმა ლევან ლორთქიფანიძემ განაცხადა, რომ უმჯობესი იქნებოდა, პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტისა და სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლები დასწრებოდნენ სხდომას, რათა დეტალურად განემარტათ საკითხი. აქედან გამომდინარე, აჯობებს, საკითხი შემდეგი სხდომისთვის გადაიდოს და მხოლოდ დეტალური განხილვის შედეგად ეყაროს კენჭი.

წარმომადგენლობითმა საბჭომ, რექტორმა, ბატონმა ვლადიმერ პაპავამ და ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, ბატონმა დავით ჩომახიძემ გაიზიარეს ბატონი ლევან ლორთქიფანიძის პოზიცია.

საკითხთან დაკავშირებით კენჭისყრა არ გამართულა და საკითხის განხილვა მომავალი სხდომისთვის გადაიდო.

9. რექტორმა, ბატონმა ვლადიმერ პაპავამ წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის მონაწილეებს გააცნო ინფორმაცია უნივერსიტეტის მე-11 კორპუსთან არსებულ ხიმინჯებთან დაკავშირებით. მისი განცხადებით, წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ

ადმინისტრაციისთვის გაცემული თანხმობის შესაბამისად, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ შეისწავლა ობიექტი და მოამზადა შესაბამისი დასკვნა. ობიექტზე სტუდენტთა და პროფესორთა საცხოვრებლის მშენებლობით რამდენიმე კომპანიაა დაინტერესებული, თუმცა პროცესის მაქსიმალური გამჭვირვალეობისათვის უმჯობესია, თუკი გადაწყვეტილება აუქციონის საფუძველზე იქნება მიღებული, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა: ბატონებმა - ირაკლი კუპრაძემ და ბეჟან თუთბერიძემ, ასევე, ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, ბატონმა დავით ჩომახიძემ. წარმომადგენლობითმა საბჭოს წევრებმა მოიწონეს რექტორის ინიციატივა.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ქალბატონმა ნონა თოდუამ ადმინისტრაციას მიმართა და აღნიშნა, რომ უმჯობესი იქნება, თუკი უნივერსიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის პროექტი მალე შემოვა, რათა მისი ჯეროვანი განხილვა მოესწროს. ინიციატივას მხარი დაუჭირეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა, ბატონებმა - ლევან ლორთქიფანიძემ და ლევან გორდეზიანმა. აღინიშნა, რომ კენჭისყრამდე შესაძლებელია ცალკე სამუშაო განხილვაც მოეწყოს.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, ბატონმა დავით ჩომახიძემ განაცხადა, რომ ადმინისტრაცია წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული სპეციალური წესით ამზადებს და წარმოადგენს ბიუჯეტის პროექტს, რომელსაც ფაკულტეტებთან და შესაბამის დეპარტამენტებთან კონსულტაციის შედეგად შეიმუშავებს. შეძლებისდაგვარად მალე წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს დაეგზავნებათ მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტი და საბოლოო დამტკიცებამდე, წევრთა ინიციატივის შემთხვევაში, მოეწყობა წინასწარი განხილვა, რომელზეც მთელი ადმინისტრაცია და საფინანსო დეპარტამენტი იქნება წარმოდგენილი.

საკითხებთან დაკავშირებით კენჭისყრა არ გამართულა.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი: კახაბერ ლორია

წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანი: დიმიტრი გეგენავა

დანართი 1

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა

2015 წლის 30 ნოემბერი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

პროფესორები:

- შაბურიშვილი შოთა
- თოდუა ნუგზარი
- მექვაბიშვილი ელგუჯა
- აბესაძე ნინო

სტუდენტები:

- სოსიაშვილი თათია
- გოდერძიშვილი ლია
- ბერუაშვილი ანზორი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- გოგინავა უშანგი

- ხომერიკი რამაზი
- თუთბერიძე ბეჟანი
- მაჭავარიანი ლია
- გეგეჭკორი არნოლდი
- ხაჩიძე მანანა

სტუდენტები:

- ბექაური ბექა
- ბახტურიძე პაატა

იურიდიული ფაკულტეტი

პროფესორები:

- თუმანიშვილი გიორგი
- ცისკაძე მარიამი
- თოდუა ნონა

სტუდენტები:

- კვირიკაშვილი ბახვა
- კუპრაძე ირაკლი

მედიცინის ფაკულტეტი

პროფესორები:

- იმნაძე პაატა
- მარგველაშვილი ვლადიმერი
- ოკრიბელაშვილი ნინო

სტუდენტები:

- გიორგაძე გიორგი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- წერეთელი მარი
- შამილიშვილი მანანა

სტუდენტები:

- ლორთქიფანიძე ლევანი
- საბაური შალვა

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- ჟვანია ირინე

- ჩახუნაშვილი ნინო

სტუდენტები:

- დადეშქელიანი ბექა

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- ლორია კახაბერი
- გორდეზიანი ლევანი
- გელოვანი ნანი
- თაბუაშვილი აპოლონი
- ბრაჭული ირაკლი
- ოთხმეზური გიორგი
- პაიჭაძე თამარი

სტუდენტები:

- ჯეგაშვილი ნანა
- მინდიაშვილი თეონა
- სამხარაძე ლაშა

თსუ–ს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი

- გაიპარაშვილი ზურაბი

დანართი 2

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრების სია

2015 წლის 30 ნოემბერი

- პაპავა ვლადიმერი (რექტორი)
- გაფრინდაშვილი ნანი
- ქურდაძე რამაზი
- გოგსაძე გიორგი
- გერსამია მარიამი
- ცერცვაძე თენგიზი
- გალდავა გიორგი
- კოპალეიშვილი მაია
- სურგულაძე ნუგზარი
- სამსონია შოთა
- ომანაძე როლანდი
- სილაგაძე ავთანდილი
- მარშავა ქეთევანი
- ჭკუასელი ქეთევანი
- აბაშიძე თამარი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის
ბრძანება №/ნ
2015 წლის - ქ. თბილისი

,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებაში (www.matsne.gov.ge,11/09/2013, სარეგისტრაციო კოდი: 430210000.22.022.016655) და ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული წესდების 41-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ" და „გ" ქვეპუნქტების საფუძველზე, სტატუსის შეჩერების მოთხოვნით, სტუდენტმა განცხადებით უნდა მიმართოს უნივერსიტეტის რექტორს სასწავლო პროცესის დაწყებიდან არა უგვიანეს 4 კვირის განმავლობაში. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ იგი კარგავს მიმდინარე სემესტრში სტატუსის შეჩერების და სწავლის საფასურის მომდევნო სემესტრებში გამოყენების უფლებას. ხოლო ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის საფუძველზე, სტატუსის შეჩერების მოთხოვნით, სტუდენტმა განცხადებით უნდა მიმართოს უნივერსიტეტის რექტორს სასწავლო პროცესის დაწყებიდან არაუგვიანეს 2 კვირის განმავლობაში. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ იგი კარგავს მიმდინარე სემესტრში სტატუსის შეჩერების და სწავლის საფასურის მომდევნო სემესტრებში გამოყენების უფლებას."

მუხლი 2. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

თამარ სანიკიძე

განმარტებითი ბარათი

,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებაში სტუდენტის სტატუსის შეჩერებასთან დაკავშირებით განსახორციელებელი ცვლილებების პროექტის მიღება (წესდების 41-ე მუხლის მე-2 პუნქტში სტატუსის შეჩერების მოთხოვნით განცხადების წარდგენის 5 კვირიანი ვადა იცვლება 4 კვირიანი ვადით) განპირობებულია შემდეგი გარემოებებით:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უნივერსიტეტს ყოველსემესტრულად ურიცხავს სტუდენტების მიერ მოპოვებული სახელმწიფო სასწავლო გრანტების შესაბამის თანხას. ყოველი სასწავლო წლის 1 ნოემბრამდე (სამაგისტრო გრანტის შემთხვევაში 15 ნოემბრამდე)/1 აპრილამდე სასწავლო სემესტრის შესაბამისად, უნივერსიტეტი ვალდებულია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს აცნობოს სტუდენტთა სტატუსის ცვლილების თაობაზე რეესტრში/მონაცემთა ბაზაში მისი დაფიქსირების გზით. იმ სტუდენტებს, რომლებსაც 1 ნოემბრამდე/1 აპრილამდე შეწყვეტილი/შეჩერებული აქვთ სტუდენტის სტატუსი, უნივერსიტეტი ვალდებულია ცენტრის საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში 1 დღის ვადაში ასახოს მონაცემები, რადგან არ ჩაირიცხოს მსგავსი სტატუსის მქონე სტუდენტებისათვის სწავლის საფასური. იმ შემთხვევაში თუ სტატუსის შეჩერება/შეწყვეტა მოხდება 1 ნოემბრის (15 ნოემბრის)/ 1 აპრილის შემდეგ, უნივერსიტეტი უფლებამოსილია შეინარჩუნოს გრანტი 1 ნოემბრამდე (15 ნოემბრამდე მაგისტრატურის შემთხვევაში) თუ სტუდენტს სტატუსი შეუწყდა 1 აპრილის შემდგომ ან 1 აპრილამდე.

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სასწავლო წელი შედგება შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრებისგან. სასწავლო წლის დაწყებამდე რექტორი ბრძანებით განსაზღვრავს ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაციის, სააუდიტორო მეცადინეობებისა და საგამოცდო პერიოდის ვადებს. სააუდიტორო მეცადინეობები გაზაფხულის სემესტრში როგორც წესი, იწყება მარტის თვის პირველ კვირაში, შესაბამისად გარკვეული საფუძვლით სტუდენტის სტატუსის შეჩერებისთვის 5 კვირიანი ვადის დადგენა შესაძლოა წინააღმდეგობაში მოვიდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N154/ნ ბრძანებით დადგენილ ზემოხსენებულ ვადასთან.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულების ცვლილება

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის ,,დ“ პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N135/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტის, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2015 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილების საფუძველზე,

შევიდეს ცვლილება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 26 ივნისის N4 სხდომის ოქმით დამტკიცებული ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულებაში

1. **დებულების მე- 4 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„4. ფაკულტეტის დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულებია: ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა (ISET) და ტურიზმის სკოლა.“

2. **დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა წარმოადგენს ფაკულტეტის დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც შესაძლებელია ახორციელებდეს ეკონომიკის მიმართულებით ინგლისურენოვან საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებსა და კვლევებს.“

3. **დებულებას დაემატოს 15[1] მუხლი :**

„მუხლი15[1] . ტურიზმის სკოლა

1. ტურიზმის სკოლა წარმოადგენს ფაკულტეტის დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც ფაკულტეტის გადაწყვეტილებით შესაძლებელია ახორციელებდეს ტურიზმის მიმართულებით საბაკალავრო პროგრამის ადმინისტრირებასა და კვლევებს.
2. ტურიზმის სკოლის ამოცანაა ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებისთვის სათანადო პირობების უზრუნველყოფა და უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციების შესაბამისად სასწავლო პროცესის წარმართვა.
3. ტურიზმის სკოლა სასწავლო პროცესის წარმართვისას მოქმედებს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, თსუ-ს წესდების, ფაკულტეტის დებულებისა და უნივერსიტეტში მოქმედი სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.
4. ტურიზმის სკოლა ანგარიშვალდებულია ფაკულტეტის მართვის ორგანოების წინაშე.
5. ტურიზმის სკოლის საქმიანობას ხელმძღვანელობს დირექტორი. ტურიზმის სკოლის დირექტორს, ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით ან კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში თანამდებობიდან ათავისუფლებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.
6. ტურიზმის სკოლის თანამშრომლები მათი უფლება-მოვალეობების გათვალისწინებით ექვემდებარებიან თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის შესაბამის სამსახურებს.
7. ტურიზმის სკოლის მისამართია: ვაჟა-ფშაველას გამზირი N44, 0179 თბილისი.“

დადგენილება №120/2015
9 ნოემბერი, 2015

„ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - ტურიზმის განვითარების ინსტიტუტის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 25 თებერვლის №33/2013 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი, მეორე და მესამე ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 61-ე მუხლის მე-3, მე-6 და მე-7 ნაწილების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ ქვეპუნქტისა და თსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის 03.11.2015, №40764/02 წერილის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - ტურიზმის განვითარების ინსტიტუტის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 25 თებერვლის №33/2013 დადგენილება.
2. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
3. დადგენილების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს.
4. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).
5. დადგენილება ძალაში შედის 2016 წლის 1 იანვრიდან.

რექტორი, პროფესორი **აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა**
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

დადგენილება №121/2015
9 ნოემბერი, 2015

„სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „რ“ ქვეპუნქტისა და თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის 05.11.2015, №41157/02 წერილის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შევიდეს ცვლილება „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებულ დანართ №6-ში (სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო) და დაემატოს შემდეგი შინაარსის „4^1“ პუნქტი:
„4^1. ასისტენტის თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს თვეში 1000 ლარით. ასისტენტის თანამდებობრივი სარგოს მიღების საფუძველს წარმოადგენს სავალდებულო კვირაში არანაკლებ 8 საათიანი სააუდიტორო და 8 საათიანი საკონსულტაციო დატვირთვის შესრულება.“
2. დადგენილების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს.
3. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.

4. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).
5. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

რექტორი, პროფესორი **აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა**
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის

სამეცნიერო საბჭოსა და დირექტორის არჩევის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ტექსტში შემდგომ - „უნივერსიტეტი") დამოუკდიებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის – პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის (ტექსტში შემდგომ - „ინსტიტუტი") სამეცნიერო საბჭოსა და დირექტორის არჩევის წესი (ტექსტში შემდგომ - „წესი") განსაზღვრავს ინსტიტუტის მართვის ზემოხსენებული ორგანოების (სამეცნიერო საბჭო, დირექტორი) არჩევის პროცედურასა და მასთან დაკავშირებულ სხვა დებულებებს.

2. ინსტიტუტის მართვის ორგანოების – დირექტორისა და სამეცნიერო საბჭოს არჩევის სამართლებრივი საფუძვლები განსაზღვრულია მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის უნივერსიტეტის წესდებით და ასევე ინსტიტუტის დებულებითა და წინამდებარე წესით.

მუხლი 2. ინსტიტუტის სამენციერო საბჭოს არჩევის წესი

1. სამეცნიერო საბჭო, რომელიც შედგება 11 წევრისგან, აირჩევა ინსტიტუტის მეცნიერთა საერთო კრების მიერ თავისი შემადგენლობიდან 5 წლის ვადით პირდაპირი, თავისუფალი და თანასწორი არჩევნების სფუძველზე, ფარული /ან ღია კენჭისყრით. გადაწყვეტილება ღია ან ფარული კენჭისყრის ჩატარების შესახებ მიიღება ინსტიტუტის მეცნიერთა საერთო კრების მიერ.

2. ინსტიტუტის მეცნიერთა საერთო კრება შედგება ინსტიტუტში მომუშავე სამეცნიერო პერსონალისაგან. ინსტიტუტის მეცნიერთა საერთო კრება მოიწვევა დირექტორის მიერ სამეცნიერო საბჭოს ულებამოსილების ვადის გასვლამდე დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში. კრება უფლებამოსილია თუ მას ესწრება სიითი შემადგენლობის 2/3 მაინც.

3. ინსტიტუტის საერთო კრებას უფლება აქვს სამეცნიერო საბჭოს წევრად არჩევამდე არა უგვიანეს ერთი თვით ადრე განსაზღვროს სამეცნიერო საბჭოს წევრის საკვალიფიკაციო პირობები. სამეცნიერო საბჭოს წევრის კანდიდატის სტატუსი შეუთავსებელია საარჩევნო კომისიის წევრის სტატუსთან.

4. არჩევნებში კანდიდატურის წარდგენის უფლება აქვს ინსტიტუტის სამეცნიერო თანამდებობის მქონე ნებისმიერ პირს.

5. სამეცნიერო საბჭოს წევრობის კანდიდატების რეგისტრაციისა და არჩევნების დღეს ნიშნავს ინსტიტუტის დირექტორი.

6. კენჭისყრის ფორმას განსაზღვრავს ინსტიტუტის მეცნიერთა საერთო კრება იმის მიხედვით ღია იქნება იგი თუ ფარული.

7. იმ შემთხვევაში, თუ სამეცნიერო საბჭოს წევრობის ორი ან მეტი ყველაზე ნაკლები ხმების მქონე კანდიდატი დააგროვებს ხმათა თანაბარ რაოდენობას, დირექტორის მიერ მათთვის ინიშნება არჩევნების მეორე ტური.

8. იმ შემთხვევაში თუ არჩევნების დროს ვერ იქნა არჩეული საკმარისი რაოდენობის სამეცნიერო საბჭოს წევრი, დირექტორის მიერ დარჩენილ ადგილებზე ინიშნება ხელახალი არჩევნები.

9. სამეცნიერო საბჭოს წევრის ვადამდე უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში, დირექტორი ნიშნავს სამეცნიერო საბჭოს წევრის დამატებით/რიგგარეშე არჩევნებს. სამეცნიერო საბჭოს წევრი აირჩევა მხოლოდ უფლებამოსილებაშეწყვეტილი წევრის დარჩენილი ვადით.

10. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის კანდიდატურის წარდგენის უფლება აქვს სამეცნიერო საბჭოს წევრს. სამეცნიერო საბჭოს თვმჯდომარე აირჩევა სამეცნიერო საბჭოს წევრთა მიერ საბჭოს შემადგენლობიდან სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ფარული/ან ღია კენჭისყრით. გადაწყვეტილება ღია ან ფარული კენჭისყრის ჩატარების შესახებ მიიღება სამეცნიერო საბჭოს მიერ.

11. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით სამეცნიერო საბჭო სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ღია კენჭისყრით ირჩევს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს/მოადგილეებსა და სამეცნიერო საბჭოს მდივანს (რომელიც შესაძლებელია არ იყოს საბჭოს წევრი. შამეცნიერო საბჭოს მდივანს უნდა გააჩნდეს დოქტორის, ან მასტან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი).

მუხლი 3. ინსტიტუტის საარჩევნო კომისია

1. ინსტიტუტში სამეცნიერო საბჭოს არჩევნების ჩატარების მიზნით ინსტიტუტის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იქმნება სამეცნიერო საბჭოს საარჩევნო კომისია, რომელიც შედგება დაწესებულების თანამშრომლებისაგან.

2. საარჩევნო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს:

ა) სამეცნიერო საბჭოს წევრობის კანდიდატი;

ბ) ინსტიტუტის დირექტორი;

გ) დირექტორის მოადგილე.

დ) ინსტიტუტის სწავლული მდივანი

3. საარჩევნო კომისიის წევრების რაოდენობა და ფუნქციები განისაზღვრება დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

4. საარჩევნო კომისიის წევრების რაოდენობა და საარჩევნო კომისიის წევრების რეგისტრაციის ვადები განისაზღვრება დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

5. საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატების რეგისტრაციას უზრუნველყოფს ინსტიტუტის დირექტორი.

6. იმ შემთხვევაში, თუ საარჩევნო კომისიის წევრობის რეგისტრირებულ კანდიდატთა რიცხვი ნაკლებია დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ რაოდენობაზე, კომისიის წევრად შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელიც არ წარმოადგენს ინსტიტუტის თანამშრომელს.

7. იმ შემთხვევაში, თუ საარჩევნო კომისიის წევრობის რეგისტრირებულ კანდიდატთა რიცხვი აღემატება დირექტორის სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ რაოდენობას, საარჩევნო კომისიის წევრების გამოსავლენად დირექტორის მიერ საჯაროდ ტარდება წილისყრა.

8. კომისია, პირველ სხდომაზე თავისი შემადგენლობიდან ირჩევს კომისიის თავმჯდომარესა და მდივანს ხმათა უბრალო უმრავლესობით.

9. საარჩევნო კომისია უფლებამოსილია მიიღოს არჩევნების გამართვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები. საარჩევნო კომისიის სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი მაინც.

მუხლი 4. ინსტიტუტის დირექტორის არჩევის წესი

1. ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობა შეიძლება დაიკავოს ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალის წევრმა, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი.

2. ინსტიტუტის დირექტორის არჩევა ხდება 4 წლის ვადით. ერთი და იმავე პირის დირექტორად ზედიზედ არჩევა შესაძლებელია მხოლოდ ორჯერ.

3. ინსტიტუტის დირექტორს თანამდებობაზე ირჩევს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

4. დირექტორის არჩევის მიზნით სამეცნიერო საბჭო ინსტიტუტის დებულების შესაბამისად ადგენს დირექტორის საკონკურსო-საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, კონკურსის პირობებს და განსაზღვრავს არჩევნების ჩატარების თარიღს.

5. დირექტორის არჩევნების ორგანიზების მიზნით სამეცნიერო საბჭო ინსტიტუტის პერსონალიდან ქმნის სამდივნოს და ადგენს კანდიდატების რეგისტრაციის ვადებს. სამდივნო თავისი ფუნქციების განხორციელებისას ექვემდებარება სამეცნიერო საბჭოს.

6. სამდივნო დირექტიორების კანდიდატურებს წარუდგენს სამეცნიერო საბჭოს, რომელიც კანდიდატის მიერ წარმოდგენილი პროგრამის საფუძველზე ირჩევს დირექტორს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. დირექტორების კანდიდატებისათვის ხმის მიცემა ხდება ფარული ან ღია კენჭისყრით (სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით). არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მოიპოვებს ყველაზე მეტ ხმას, მაგრამ არანაკლებ სამეცნიერო საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტისა.

8. იმ შემთხვევაში, თუ არჩევნებში მონაწილეობას იღებდა ერთი ან ერთზე მეტი კანდიდატი და ვერც ერთმა ვერ მიიღო საკმარისი ხმები, სამეცნიერო საბჭოს მიერ ინიშნება ახალი არჩევნები, რომელიც უნდა ჩატარდეს სამეცნიერო საბჭოს მიერ დადგენილ ვადაში.

დადგენილება №116/2015
26 ოქტომბერი, 2015

„ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეტაბოლური გენეტიკის ინსტიტუტის შექმნის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 11 ივნისის №44/2012 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი, მეორე და მესამე ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 61-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ ქვეპუნქტისა და თსუ-ს სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტისა და იურიდიული დეპარტამენტის 15.10.2015, №38548/02 წერილის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეტაბოლური გენეტიკის ინსტიტუტის შექმნის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 11 ივნისის №44/2012 დადგენილება.
2. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
3. დადგენილების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს.
4. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).
5. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

რექტორი, პროფესორი **აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა**
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე